ResearchGate

See discussions, stats, and author profiles for this publication at: https://www.researchgate.net/publication/371510301

სახელმწიფოს ცნების ონტოლოგიური საფუძვლები

Article · June 2023

CITATIONS
0

READS
215

1 author:

Irakli Gabelia
Caucasus International University

11 PUBLICATIONS **0** CITATIONS

SEE PROFILE

All content following this page was uploaded by Irakli Gabelia on 13 June 2023.

The user has requested enhancement of the downloaded file.

სახელმწიფოს ცნების ონტოლოგიური საფუძვლები

ირაკლი გაბელია
დოქტორანტი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

უკანასკნელ პერიოდში აქტიური მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიოში მკვეთრად იზრდება, ხოლო მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით სამომავლოდაც მზარდი მაჩვენებლების შეინარჩუნებას უნდა ველოდოთ. ასევე განხილვის საგანია ის, თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო, რაში მდგომარეობს მისი არსი და რა ფუნდამენტური მახასიათებლებით უნდა ხასიათდებოდეს იგი. აღნიშნულ საკითხზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს ცნების, როლის და ფუნქციების შესახებ მსჯელობას არაერთი მასალა და ნაშრომი მიეძღვნა, სადაც ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, მაკიაველი, ჰობსი და სხვები აქტიურად განიხილავდნენ სახელმწიფოს არსის ირგვლივ არსებულ ბუნდოვანებებს და მისეულ ხედვებსაც გვთავაზობენ.

დღეისათვის რთულია უნიფიცირდეს სახელმწიფოს დეფინიცია, რადგან იგი ასოცირდება ისეთ ტერმინებთან როგორიცაა: საზოგადოება, მოსახლეობა, ქვეყანა და სხვა. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში მისი განმარტება არ არსებობს, რაც მისი ფუნდამენტური და არსობრივი იდეის მნიშვნელობის დადგენას ართულებს. და მაინც, შესაძლებელია თუ არა მისი უნიფიცირება? რამდენად დაიყვანება იგი ერთ, კონკრეტულ დეფინიციამდე? და საერთოდ, რა მნიშვნელობის მატარებელია მისი ონტოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა? წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს ამ მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ბუნდოვანების და ახალი მიდგომის წარმოჩენას, რომელიც სრულიად ახლებურად გადაიაზრებს სახელმწიფოს მნიშვნელობას და უშუალოდ კონცენტრირებულია მისი როლისა და ფუნქციის წარმოჩენაზე.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, სახელმწიფოს წარმოშობის თეორიები, ეროვნული ინტერესები, ცივილიზაცია.

Abstract

Lately there was an active discussion of the fact that the role and importance of the state in the modern world is increasing dramatically, and considering the current trends, we should expect to maintain these increasing indicators in the future. What is the state, what is its essence, and what main features should it are also the subject of discussion. When talking about the mentioned issue, it is necessary to note that some amount of works were devoted to the discussion of current state concept, role and functions, where such great thinkers as: Plato, Aristotle, Cicero, Machiavelli, Hobbes and others actively discussed the ambiguities surrounding the essence of the state and presented their very own visions of it.

Today however, it is difficult to unify the definition of the state, because it is associated with such terms as: society, population, country and others. Moreover, there is no definition of state in the legal literature, which makes it difficult to determine the meaning of its fundamental and essential idea. And yet, is it possible to unify it? How it might be reduced to one, specific definition? And in general, what is the significance of determining its ontological foundations? The present article aims to present the ambiguities in the scientific literature in this specific area and a new approach, which will rethink the meaning of the state in a completely new way and will point out its role and function.

Keywords: State, theories of the origin of the state, The national interests, civilization.

შესავალი

სახელმწიფოს ცნების შესაძლო განსაზღვრებები ანტიკური პერიოდის ლიტერატურაშიც გვხვდება, რაც ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას უძველესი პერიოდიდან. აღნიშნულის მიუხედავად საკითხს აქტუალობა არც თანამედროვე პერიოდშიც დაუკარგავს, ვინაიდან დღესაც აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ტერმინის შესახებ და რაც მთავარია, ცნება კვლავ განუსაზღვრელ, განუმარტავ მოცემულობად რჩება.

უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე მოვლენების დაკვირვებისას მარტივად შეიმჩნევა სახელმწიფოს როლის ზრდა, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. ფუნქციური მნიშვნელობა, რომლითაც სახელმწიფო ხასიათდება, მას ავალდებულებს იყოს საკუთარი მოსახლეობის ინტერესების გამტარებელი. შესაბამისად, დღეს არსებულ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა მოქმედებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა ერთი მხრივ დაიცვას მოქალაქეთა ინტერესები გლობალური დონეზე, ხოლო მეორე მხრივ იპოვოს როლი და ფუნქცია გარე სამყაროსთან კომუნიკაციის პროცესში.

1. სახელმწიფოს ცნების აღქმა ანტიკურ პერიოდში

1.1. პლატონი, არისტოტელე, ციცერონი

სახელმწიფო პოლიტიკური სტრუქტურაა, რომლის თანამედროვე გაგება "ვესტფალიის ზავს" უკავშირდება. აღნიშნულმა ზავმა სახელმწიფოს საფუძვლად და შემაკავშირებელ ერთობად ერი წარმოაჩინა. აგრეთვე საფუძველი ჩაუყარა სუვერენიტეტის ცნებას, რომელიც სახელმწიფოს მმართველის გარდა, მის თანასწორად, როგორც ქვეყნის ისე მის გარეთ არავის არ აღიარებდა. შესაბამისად ვესტფალიური სისტემის მთავარი ელემენტი ერი-სახელმწიფო გახდა. სახელმწიფომ, როგორც საერთაშორისო სისტემის ძირითადმა აქტორმა ექსკლუზიური უფლებები მიიღო.

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს ფენომენის შესწავლა არაერთმა მეცნიერმა და მკვლევარმა სცადა, უპრიანი იქნება თავდაპირველად მათი მიდგომები მიმოვიხილოთ, ხოლო დასასრულს მისი არსის ახლებურ ხედვებს გავაცნობთ მკითხველს, რომელიც ახალ მეცნიერულ სისტემაზე დაყრდნობით სრულიად ახალ ხედვებს აგენერირებს ამ მიმართულებით.

სახელმწიფოს ფენომენის განსაზღვრა პლატონის შეხედულებებით უნდა დავიწყოთ, რომლის "სახელმწიფოსაც" იდეალურ სახელმწიფოდ მოიხსენიებენ. აღნიშნული დახასიათება ორგვარ, ერთმანეთთან დაკავშირებულ მნიშვნელობას ატარებს. პირველი თავად "იდეალური" დღევანდელი მნიშვნელობით საუკეთესოსთან ასოცირდება და პლატონის შეხედულებით მისი იდეები საუკეთესო იყო ყველა შესაძლო, მათ შორის არსებულ, სახელმწიფოთა შორის.[1] მეორე მნიშვნელობით პლატონის სახელმწიფო იდეალურია არა არსებული სახელმწიფოს აღწერით, არამედ გადმოცემა პოლიტიკური სტრუქტურის, რომელიც არსებობს როგორც იდეა. მისი აზრით, სახელმწიფოს საფუძველი კონვენციონალური საწყისია, როდესაც ადამიანები მოიქცნენ სამართლიანად და არასამართლიანადაც და დაზარალდნენ არასამართლიანობისგან, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მოლაპარაკება, რათა მომავალში არც უსამართლობა ჩაედინათ და არც დაზარალებულიყვნენ, რამაც სათავე ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის ჩამოყალიბებას დაუდო. სახელმწიფოს წარმოშობა პლატონისთვის ინტელექტუალური ექსპერიმენტი, აზრისმიერი კონსტრუქციაა, შესასწავლი ობიექტის შესაძლო გენეზისის წარმოსადგენად. სხვა სიტყვებით, "თუ ჩვენ აზრობრივად წარმოვიდგენთ სახელმწიფოს წარმოშობას", ეს არ ნიშნავს ადამიანის ცხოვრებაში იმის დაფიქსირებას, რომ მანამდე არ არსებობდა იგი, ხოლო შემდეგ რაღაც გარემოებების გამო შეიქმნა ის.[2]

პლატონის "სახელმწიფოში" სოკრატე ამბობს: "მე მგონია სახელმწიფო წარმოიქმნება მაშინ, როდესაც თითოეულ ჩვენგანს არ შეუძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა და საჭიროებს კიდევ მრავალ სხვა რაიმეს. ამრიგად, ყოველი ადამიანი საშველად მოუხმობს ხან ერთს, ხანაც მეორეს და მათი დახმარებით ცდილობს ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. განიცდიან რა მრავალი რამის საჭიროებას, თავს იყრის ბევრი ადამიანი რათა ერთად იცხოვრონ და ერთმანეთს დახმარება გაუწიონ: სწორედ ასეთი ერთობლივი დასახლება იძენს ჩვენთან სახელმწიფოს სახელწოდებას". (პლატონი. "სახელმწიფო" 2.369b)

სახელმწიფოს განხილვის საკითხს პლატონი ფილოსოფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, ნაწილისა და მთელის კატეგორიების ურთიერთმიმართებასაც უკავშირებს, კერძოდ, პლატონის აზრით, სამართლიანობა ცალკეულ ადამიანებთან ასოცირდება, მაგრამ იგი შესაძლოა დამახასიათებელი იყოს მთელი სახელმწიფოსათვის. თუმცა მისი აზრით, სახელმწიფო ცალკეულ ადამიანზე დიდია.

შემდეგი ანტიკური ხანის ავტორი, რომელმაც საკუთარ ნაშრომებში დიდი ყურადღება დაუთმო სახელმწიფოს რაობის განსაზღვრას არისტოტელეა. ის "პოლიტიკის" შესავალში ამბობს, რომ სახელმწიფო ადამიანთა შორის ურთიერთობების თავისებური ფორმაა, რომლის მიზანი სათნოებაა.[3] ხოლო სახელმწიფოს საფუძველი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას ემყარება, რომელთაც ერთმანეთის გარეშე ყოფნა არ შეუძლიათ, შესაბამისად ადამიანთაშორისი ურთიერთობების საწყისად იგი ოჯახს მიიჩნევს, ოჯახებისგან შემდგარ ერთობას - სოფელს, ხოლო სოფლების ერთობას შესაძლებელია სახელმწიფო ეწოდოს. სახელმწიფოს შექმნა აუცილებლობის კარნახით ხორციელდება, თუმცა მისი მთავარი მიზანი,

[1] ბიჭაშვილი, მ., "პოლიტიკური თეორია", სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006. გვ. 7.
[2] იქვე.
[3] Aristotle's Ethics, https://plato.stanford.edu/entries/aristotle-ethics/ [უ. გ. 30.03.2023].

სათნო ცხოვრებისთვის არსებობაა. ამ მოცემულობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ბუნებრივი პროდუქტია და ისევე, როგორც ადამიანთაშორისი პირველადი ურთიერთობები, ამ ბუნებრივი ტენდენციის დასრულებას წარმოადგენს, ხოლო დასრულებაში კი თავს აჩვენებს ბუნება. ბუნება განვითარების დასრულების მდგომარეობაა, რომლის საბოლოო მიზანი უმაღლეს სრულყოფილებაში მდგომარეობს, იმას რასაც თვითკმარი არსებობა გააჩნია, ის უმაღლესი არსებობის მქონეცაა და დასრულებულიც (1252 ბ 25-1253 ა). არისტოტელე მიდის იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ეს ბუნებითად არსებული მოცემულობაა, ხოლო ადამიანი ბუნებით პოლიტიკური ცხოველია.[4] მას სურდა ეჩვენებინა, რომ ადამიანი პოლისის გარეშე ვერ იარსებებს და თუკი იგი თავისი ბუნების მიხედვით გადაწყვეტს სახელმწიფოს გარეთ ცხოვრებას, ის ზეადამიანია ან ზნეობრივად განუვითარებელი. შესაბამისად, მას (ადამიანს) არსებობა მხოლოდ სახელმწიფოში შეუძლია, რომელიც პირველადია მასთან მიმართებით. იგი პლატონის მსგავსად სახელმწიფოსა და ადამიანს მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებით განიხილავს და სახელმწიფოს პირველადობის დამტკიცებას ცდილობს.

ბოლო ანტიკური ეპოქის წარმომადგენელი, რომლის შეხედულებებსაც განვიხილავთ ძველი რომაელი პოლიტიკოსი, ადვოკატი და პოლიტიკური მოაზროვნე ციცერონია. მისი შეხედულებით სახელმწიფო უშუალოდაა დაკავშირებული ხალხთან, ამიტომაც სახელმწიფოს კვლევის პროცესი პირდაპირ დაკავშირებულია ხალხის რაობასთან. ხალხი კი ისეთი ფენომენია, რომელსაც საერთო ინტერესები და სამართალი აქვს. "ამრიგად, წერს ციცერონი, სახელმწიფო ხალხის ხვედრია, ხოლო ხალხი ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანება კი არ არის, არამედ ისეთთა ერთიანობაა, რომელთაც თავი მოუყრიათ სამართლის ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად და, რომელთაც გააჩნიათ საერთო ინტერესები. ასეთი გაერთიანების პირველი მიზეზი მათი სისუსტე კი არ არის, არამედ ბუნებრივი მისწრაფება ერთად ცხოვრებისაკენ".[5] ბუნებრივი მისწრაფება ერთობისკენ შესაძლებელია იმპულსი იყოს სახელმწიფოს ფორმირებისათვის, რომელიც მდგრადობას და რეგულაციებს საჭიროებს, ამრიგად, სახელმწიფოსათვის აუცილებელია სტრუქტურა, რომელიც სამართალსა და კანონს დაეფუძნება.

2. სახელმწიფოს თანამედროვე კონცეფციის ჩამოყალიბების სათავეებთან

2.1. ნიკოლა მაკიაველი, თომას ჰობსი, ჟან-ჟაკ რუსო, იმანუელ კანტი

სახელმწიფოს თანამედროვე კონცეფცია მხოლოდ მე-16 საუკუნეში გაჩნდა ნიკოლო მაკიაველის (იტალია) და ჟან ბოდენის (საფრანგეთი) ნაშრომებში, როგორც ცენტრალიზებული ძალა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა სტაბილურობის აღდგენა. „მთავარში" მაკიაველი უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებდა ხელისუფლების გამძლეობას, გვერდი აუარა ყველა მორალურ მოსაზრებას და ამის ნაცვლად ყურადღება გაამახვილა მმართველის ძალაზე - სიცოცხლისუნარიანობაზე, გამბედაობაზე და

[4]Aristotle's Arguments for his Political Anthropology and the Natural Existence of the Polis, https://books.openedition.org/psorbonne/14286?lang=en [უ. გ. 30.03.2023].

[5] ბიჭაშვილი, სქოლიო 1, გვერდი 27.

დამოუკიდებლობაზე.[6] მაკიაველი აგრეთვე დასძენს, რომ სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულება პოლიტიკური მოღვაწეობაა, რაც გამოხატულია ხალხსა და მმართველ წრეებს შორის ურთიერთობის დადგენაში, პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზებაში, იუსტიციისა და კანონის ორგანოების არსებობაში.[7]

მე-17 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი თავისი ნაშრომით "ლევიათანი" კონკურენციას უწევს პლატონის, არისტოტელეს, ლოკის, რუსოს, კანტის ნამუშევრებს. ჰობსი ცნობილი გახდა, როგორც „სოციალური კონტრაქტის თეორიის" ავტორი, პოლიტიკური პრინციპების ან მოწყობის გამართლების მეთოდით შეთანხმებაზე მიმართვის გზით, რომელიც დადებული იქნებოდა რაციონალურ, თავისუფალ და თანასწორ პირებს შორის.[8] ამდენად, მისი აზრით, სახელმწიფო შეიძლება აღვიქვათ, როგორც ერთიანი პერსონა, რომლის მოქმედებებზე პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დადებით აიღო ხალხთა დიდმა რაოდენობამ, რომლებმაც საჭიროდ ჩათვალეს მათივე მშვიდობისა და დაცვისთვის ერთი პერსონისათვის გადაეცათ საკუთარი ძალის გამოყენების პრივილეგია. თითოეულმა მოქალაქემ მისი ნება უნდა დაუქვემდებაროს საერთო ნების მატარებელ პერსონას და ხალხის წარმომადგენელი იყოს. თუკი ხელშეკრულების ყოველი მონაწილე სხვებთან ერთად თვლის ერთ პერსონას (სახელმწიფოს) საკუთარი თავის მართვის უფლების მატარებლად ეს შეიძლება იწოდებოდეს, როგორც სახელმწიფო.

ჰობსის, ლოკისა და რუსოს "სოციალური კონტრაქტის თეორიები" გამოირჩეოდა პოლიტიკური ავტორიტეტის გამართლებითა და რაციონალური თანხმობის საფუძვლით. მათ აჩვენეს, რატომ და რა პირობებშია მთავრობა სასარგებლო. ამიტომაც უნდა იყოს მიღებული ყველა გონიერი ადამიანის მიერ, როგორც ნებაყოფლობითი ვალდებულება.[9]

რუსოს აზრით, სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ლეგიტიმური, თუ იგი ხელმძღვანელობს მისი წევრების „ზოგადი ნებით". ეს იდეა დეტალურ განხილვას პოულობს სოციალურ ხელშეკრულებაში.[10] რუსო "სოციალურ კონტრაქტს" იწყებს ცნობილი სიტყვებით: „ადამიანები თავისუფლად იბადებიან, მაგრამ ყველგან ჯაჭვებით არიან მიბმული".[11] მისი მთავარი არგუმენტი "სოციალურ კონტრაქტში" ისაა, რომ მთავრობა აღწევს არსებობისა და მართვის უფლებას „მართვის თანხმობით".[12] ფრანგმა ფილოსოფოსმა და განმანათლებელმა დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე ფრანგ ავტორებსა და საზოგადოებაზე, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით. მის ნამუშევრებში პოლიტიკური მოვლენების ძირითად სუბიექტად ხალხია გამოყვანილი. საინტერესოა მისი შეხედულებები უშუალოდ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, როდესაც იგი სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკურ ორგანიზმად მოიხსენიებს. ორგანიზმი კი განწირულია სიკვდილისათვის, მაგრამ მას არსებობისათვის შესაბამისი სივრცე ესაჭიროება. ამიტომაც ტერიტორიას და მოსახლეობას სახელმწიფოსათვის აუცილებელ წინაპირობად სახავს.

---

[6] state sovereign political entity, https://www.britannica.com/topic/state-sovereign-political-entity [უ. გ. 30.03.2023].

[7] შარიაშვილი, ე., "სახელმწიფოს არსი" https://www.scribd.com/document/479495985/სახელმწიფოს-არსი [უ. გ. 30.03.2023].

[8] Hobbes's Moral and Political Philosophy https://plato.stanford.edu/entries/hobbes-moral/#StaNat [უ. გ. 30.03.2023].

[9] state of nature https://www.britannica.com/topic/state-of-nature-political-theory [უ. გ. 30.03.2023].

[10] Jean Jacques Rousseau https://plato.stanford.edu/entries/rousseau/ [უ. გ. 30.03.2023].

[11] The Social Contract, https://www.sparknotes.com/philosophy/rousseau/section2/ [უ. გ. 30.03.2023].

[12] იქვე.

გერმანელი ფილოსოფოსი, თანამედროვე ფილოსოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იმანუელ კანტი "მარადიული მშვიდობის" თეორიაში ავითარებს მოსაზრებას, რომ ყველა სახელმწიფო რესპუბლიკა უნდა იყოს, რომელიც კანონმორჩილებას ეფუძნება. თუმცა კანონის გარდა რესპუბლიკური სახელმწიფოს ბუნების განსასაზღვრ ელემენტებად თანასწორობასა და თავისუფლებას ასახელებს.

3. სახელმწიფოს წარმოშობის თეორიები

სახელმწიფოს რაობაზე მსჯელობის შედეგად მისი წარმოშობის შესახებ სხვადასხვა თეორია ჩამოყალიბდა, რომელიც თამამად შეგვიძლია სხვადასხვა ეპოქის განწყობათა გამოხატულებებს მივაკუთვნოთ, როგორებიცაა: თეოლოგიური (თეოკრატიული), პატრიარქალური, სახელშეკრულებო (ბუნებრივი სამართლის), ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ძალადობის თეორია და სხვა.

თეოლოგიური თეორია - სახელმწიფოს ბუნების გაგებას ღვთაებრივი წარმოშობის გარეშე შეუძლებელს ხდის. თეორიამ შუა საუკუნეებში (ფეოდალიზმში) ჰპოვა განვითარების მაღალი ტემპები და ახლაც მოქმედია ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგალითად ვატიკანი). თეორიის მიხედვით არ განსხვავდება საზოგადოების, კანონის და სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და იგი ღვთაებრივი გონების თანადროული წარმონაქმნია. ამასთანავე როგორც ღმერთი, ასევე კანონი და სახელმწიფო მარადიულია. მათი შეხედულებით ნებისმიერი ძალაუფლება რელიგიური ძალაუფლებიდან მომდინარეობს, ხოლო ხალხი უნდა დაემორჩილოს სახელმწიფოს ნების კარნახს.[13]

პატრიარქალური თეორიის - ფუძემდებლად არისტოტელეა მიჩნეული, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბუნებრივი განვითარების პროდუქტია და ადამიანი მისი კოლექტიური მისწრაფებებიდან გამომდინარე სხვა ადამიანებთან ურთიერთობას და ოჯახის შექმნას ცდილობს, ხოლო ოჯახის განვითარება სახელმწიფოს წარმოშობის მთავარ წინაპირობად მიაჩნია. ეს კომუნიკაციის უმაღლესი გამოხატულებაა, რომელიც მოიცავს კომუნიკაციის ყველა ფორმას. თეორიამ თანამედროვე რეფრაქცია პატერნალიზმის იდეაში მიიღო, სხვა სიტყვებით, სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქეებსა და სუბიექტებზე არასათანადო პირობებში (ავადმყოფობა, შეზღუდული შესაძლებლობები, უმუშევრობა და სხვა).[14]

სახელმწიფოს წარმოშობის თეორიის საფუძველი "სოციალური კონტრაქტი" იქცა - *სახელშეკრულებო (ბუნებრივი სამართლის) თეორია.* თეორიის ფუძემდებლები თომას ჰობსი, ჯონ ლოკი და ჟან-ჟაკ რუსო იყვნენ. მათი შეხედულებით, პირველყოფილი საზოგადოება "ბუნებრივ მდგომარეობაში" იმყოფებოდა, რომელიც განუსაზღვრელი პირადი თავისუფლებით გამოიხატებოდა. ყოველი ადამიანი საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა, რაც იწვევდა *„ყველას ომს ყველას წინააღმდეგ".* არაორგანიზებულ საზოგადოებას კი შეეძლო თავისი თავის განადგურება, სწორედ ამგვარი მოცემულობების აღსაკვეთად "გაფორმდა" აღნიშნული ხელშეკრულება. ხელშეკრულების

[13]Theories on the Origin of State | Essay | Theories | Political Science, https://www.politicalsciencenotes.com/essay/state/theories-on-the-origin-of-state-essay-theories-political-science/1513#:~:text=The%20generally%20accepted%20theory%20of,the%20growth%20of%20the%20state. [უ. გ. 30.03.2023].

[14] იქვე.

მიზანს ურთიერთგადარჩენა წარმოადგენდა, სადაც ხალხი დაიცავდა კანონებს და უარს ამბობდა საკუთარი ინტერესების ნაწილზე. სახელმწიფოს მოვალეობა დამნაშავეების დასჯა და გარეშე საფრთხეებისაგან მოსახლეობის დაცვა წარმოადგენდა.[15]

ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი იყვნენ, თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ეკონომიკური მიზეზების გამო წარმოიშვა - შრომის სოციალური დანაწილება, ჭარბი პროდუქტის გაჩენა, კერძო საკუთრება, საზოგადოების დაყოფა დაპირისპირებულ კლასებად. თეორიის თვალსაზრისით, პირველყოფილ საზოგადოებაში ეკონომიკის განვითარებამ შრომის სამი ძირითადი სოციალური დაყოფა გამოიწვია (მწყემსების ტომების გამოყოფა, ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისგან, ვაჭრების გაჩენა). ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი ზედმეტი პროდუქტი გახდა და ადამიანებმა, რომლებიც ერთ საქმეში სპეციალიზირდებოდნენ დაიწყეს სხვა საქმიანობების შესწავლა, რათა სიმდიდრე მოეხვეჭათ. სხვათა შრომის მითვისების გამო საზოგადოება ორად გაიყო - ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად. აღნიშნულმა საფუძველი კერძო ხელისუფლებასა და საკუთრებას ჩაუყარა, რომელთა ბატონობის შესანარჩუნებლად საჭირო გახდა ძალადობის სპეციალური მექანიზმის (მათ შორის პოლიცია, ჯარი, ციხე) შექმნა სახელმწიფოს სახით.[16]

ფსიქოლოგიური თეორია ძველი რომიდან იღებს სათავეს. ციცერონის მიხედვით, ხალხი ერთად ცხოვრების თანდაყოლილი მოთხოვნის გამო ერთიანდებოდა. შემდგომ პერიოდში ნ. მაკიაველიმაც სცადა სახელმწიფოს გაჩენის ფსიქოლოგიური ახსნა, რომელიც მომდინარეობდა იქიდან, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბება და სტრუქტურა "ერთიან სახელმწიფო ნებაზე გაბატონებული აქტია". თეორიის ფუძემდებელმა ლ.ი. პეტრაჟიცკმა სახელმწიფოს გაჩენა ადამიანის ფსიქიკის განსაკუთრებული თვისებებით ახსნა. მათ შორის სურვილით, ეძებოს ავტორიტეტი, რომლის დირექტივები უნდა დაიცვას ყოველდღიურ ცხოვრებაში. თეორიის მიხედვით სახელმწიფო არა ცხოვრების მატერიალური პირობებით, არამედ ადამიანების ემოციებითა და გამოცდილებით წარმოიქმნება.

ადამიანს აქვს ფსიქოლოგიური მოთხოვნილება, რომ ცხოვრობდეს ორგანიზებულ საზოგადოებაში, ასევე კოლექტიური ურთიერთქმედების საჭიროება. ამ თეორიის წარმომადგენლების აზრით, კანონი პირველ რიგში ჩნდება ხალხის გონებაში, როგორც გარკვეული პრეტენზია და ვალდებულებები, რომელსაც სახელმწიფო იყენებს სოციალური ურთიერთობების რეგულირებისთვის. თეორიის ავტორებს მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ფსიქიკური ურთიერთქმედების ნაკრებია. ადამიანის მოთხოვნილებაა ცხოვრობდეს ორგანიზებულ საზოგადოებაში, შესაბამისად, პირველ რიგში კანონი უნდა გაჩნდეს ხალხის გონებაში, ხოლო სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს სოციალური რეგულაციისთვის.[17]

---

[15] Theories on the Origin of State | Essay | Theories | Political Science, https://www.politicalsciencenotes.com/essay/state/theories-on-the-origin-of-state-essay-theories-political-science/1513#:~:text=The%20generally%20accepted%20theory%20of,the%20growth%20of%20the%20state. [უ. გ. 30.03.2023].

[16] იქვე.

[17] Elmer Barnes, H., "Theories of the Origin of the State in Classical Political Philosophy", the Monist, January, 1924, Vol. 34, No. 1 (January, 1924), Pp. 15-62. Oxford University Press - https://www.jstor.org/stable/pdf/27900975.pdf [უ. გ. 30.03.2023].

ძალადობრივი (დაპყრობითი) თეორია XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა ფ. ოპენჰეიმერის, ლ. გუმპლოვიჩის, ე. დიურინგის და სხვა სოციოლოგთა შრომებში. ამ მიდგომის მომხრეები სახელმწიფოს წარმოშობის ძირითად მიზეზად დაპყრობით ომებს მიიჩნევდნენ, როდესაც ძლიერი ტომები ილაშქრებდნენ სუსტების წინააღმდეგ. მცირერიცხოვანი ტომების დამორჩილების შედეგად თავს მოახვიეს ახალი ორგანიზაცია – სახელმწიფო, რომელიც თავის მხრივ გადაიქცა როგორც ორივე მათგანის (გამარჯვებულებისა და დამარცხებულების) სახელისუფლებო ინსტრუმენტად.[18]

სხვა თეორიები სახელმწიფოს წარმოშობას უკავშირებენ საზოგადოების ისტორიული განვითარების ძირითად პროცესებს:

- საჯარო ხელისუფლების საზოგადოებისაგან და მთელი მოსახლეობისაგან გამოყოფა;
- ტერიტორია;
- სუვერენიტეტი;
- მონოპოლია ძალის ლეგალურ გამოყენებაზე, ფიზიკური იძულება;
- მოსახლეობისაგან გადასახადის აკრეფის უფლება;
- კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობის აუცილებლობა;
- საერთო ინტერესებისა და კეთილდღეობის დაცვის მიზნით საზოგადოების მთლიანობის შენარჩუნებისა და მისი წარმომადგენლობის პრეტენზია.[19]

სახელმწიფოს ცნების უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციის I მუხლის გაცნობა, რომლის თანახმადაც: სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, შემდეგი თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს:

1. მუდმივი მოსახლეობა;
2. განსაზღვრული ტერიტორია;
3. მთავრობა;
4. სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარების უნარი.[20]

ზემოთ ჩამოთვლილი პირველი სამი ელემენტი შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკასა და გეორგ ელინეკის მიერ მე-19 საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებულ ე.წ. "სამი ელემენტის დოქტრინას".[21]

სახელმწიფოს ფენომენის გაგებით, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ვაღიაროთ სახელმწიფოს შესახებ თეორიების არსი. მაგრამ საპირისპიროდ, სახელმწიფოს შესახებ თეორიების გაგება არ მოგვცემს ფუნდამენტურად შევისწავლოთ მისი არსი.

[18] Harding, A., "The Origins of the Concept of the State" History of Political Thought Vol. 15, No. 1 (Spring 1994), Pp. 57-72.

[19] ჩიტაძე, ნ., "პოლიტოლოგია", გამომცემლობა "შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი", თბილისი 2016 წ. გვ 137-138.

[20] Montevideo Convention on the Rights and Duties of States, https://www.jus.uio.no/english/services/library/treaties/01/1-02/rights-duties-states.xml [უ. გ. 30.03.2023].

[21] მალანჩუკი, პ., "აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი", გამომცემლობა "დიოგენე". 2005 წ გვ. 93.

4. სახელმწიფოს განსაზღვრის ახალი მოდელი

გერმანელი სოციოლოგი ფრანც ოპენჰაიმერი (Franz Oppenheimer) თავის ნაშრომში ამბობს: "ჩვენ შეიძლება თავიდანვე უარვყოთ სამართლის ყველა მიღებული დოქტრინა. სახელმწიფოს ჩვეულებრივი თეორიების ზედმიწევნითი გამოკვლევაც კი საკმარისია იმის დასანახად, რომ ისინი არ იძლევიან ახსნას მისი წარმოშობის, არსისა და დანიშნულების შესახებ. ეს თეორიები წარმოადგენენ ყველა შესაძლო ჩრდილს ყველა წარმოუდგენელ უკიდურესობას შორის".[22]

სახელმწიფო შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც მოქალაქეთა ჯამური ინტერესი, რომელსაც ახორციელებს და ლეგიტიმაციას სძენს კონკრეტული სახელმწიფო. თუმცა პრობლემური საკითხი სწორედ ჯამური ეფექტია, რომელიც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ნაწილთა ერთობლიობა, ისე მთელის პრიმატულობით დადგენილი ჯამი. ეს ჯამური მაჩვენებლები კი შინაარსობრივად სხვადასხვა რამეა. როგორც ზემოთ აღინიშნა ამგვარი დანაწილება აღიქმება მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართებით. ქართველი მეცნიერის, ემზარ ხვიჩიას სამეცნიერო სისტემით კვანტური რელატივისტური ნოოლოგიით (შემდგომში ნოოლოგია) "სახელმწიფოს" ტერმინის გადააზრება და ახლებურად განმარტება მოხდა. გამომდინარე იქიდან, რომ ნოოლოგიით დადგენილია 4 განსხვავებული ფსიქოტიპის ერის არსებობა (მართვის, ფორმის, ძლევის და ცხრომის). ეს საფუძვლად უდევს სახელმწიფოს ტერმინის განსაზღვრის, 4 განსხვავებულ ჯამურ ერთობას (ერს). ავტორის მიხედვით, ჩამოთვლილ ფსიქოტიპებს განსხვავებული თვითორგანიზაცია ახასიათებს. სამი მათგანი (ფორმა, ძლევა, ცხრომა) ერის თვითორგანიზაციის ელემენტით ხასიათდება, ხოლო მართვის მანიის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს სამის იმიტაცია, ან პირდაპირ გამოხატული ფორმა შეიძინოს მათ შორის მოდერაციის ფუნქცია. ნოოლოგიით ასევე დადგინდა ფაზათა მონაცვლეობა ჩამოთვლილი ფსიქოტიპების აქტუალობის მიხედვით, რაც შესაბამისი ფსიქოტიპის ერების გააქტიურებას იწვევს დროის კონკრეტულ მონაკვეთში.[23] აღნიშნულის გათვალისწინება სხვა სახელმწიფოებსაც უწევთ, ამით შეიძლება აიხსნას ის ტრივიალური მიდგომების სხვადასხვაობა, რომელიც დროთა პერიოდში განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს სახელმწიფოთა მხრიდან (მაგ. რუზველტის რეფორმები 1930-იან წლებში აშშ-ში, ფაშისტური გერმანიის ქმედებები ეკონომიკური მიმართულებით, სადაც მოხდა ბაზრის, ფინანსური ინსტიტუტების მოქმედების რეგლამენტაცია). აქედან გამომდინარე სახელმწიფოს 4 საბაზისო მდგომარეობა ცვალებადი და ლავირებადია ფაზათა ცვლის პროცესში იმ გაგებით, რომ მას უწევს ფაზის შესაბამისი ქმედებების განხორციელება და მოქმედებათა ცვლა მის შესაბამისად. თუმცა ეს მისი ეროვნულ თვითმყოფადობისათვის საფრთხის შემცველი არ გახლავთ, რადგან ეს ადეკვატური რეაგირებაა რეალურ მოცემულობებზე.

[22] Oppenheimer, F., "the State" - "the Bobbs-merrill Company" 1914.

[23] ხვიჩია, ე., "ნოოლოგია - თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და ცვლის კანონები", გამომცემლობა "ახალი პარადიგმა" 2020 წ. გვ. 218.

დასკვნა

სახელმწიფო ეს ინსტიტუტია, ხოლო ხელისუფლება ამ ინსტიტუტში მოქმედი სუბიექტი. მაშასადამე ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, რა არის სახელმწიფოს დანიშნულება? სახელმწიფოს აქვს ვალდებულებები საკუთარი მოქალაქეების წინაშე, ისევე როგორც მას აქვს ვალდებულებები საგარეო ურთიერთობებშიც, ამიტომ თუკი ხელისუფლება მოახერხებს მოქალაქეების მიმართ ნაკისრი ვალდებულებების ადაპტაციას გარე სამყაროსთან ნაკისრ ვალდებულებებთან, მაშინ შესაძლებელია ამგვარი სახელმწიფო შემდგარ სახელმწიფოდ ჩავთვალოთ. აქედან გამომდინარეობს, რომ: "სახელმწიფო ეს არის ერის თვითდადგენის მექანიზმი მთელ ცივილიზაციაში".[24] სხვა სიტყვებით, ერის ინტერესების შესაბამისად სახელმწიფო მთელი თავისი ინსტიტუციებით ცდილობს ერის ინტერესების ჰარმონიაში მოქცევას გარესამყაროსთან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ავტორისეული ხედვით ცივილიზაცია ეს არის ზემოხსენებული 4 ფუნდამენტურად განსხვავებული ერების თანაარსებობა, სადაც თითოეული მათგანი თანადროულად არსებობს.

[24] ხვიჩია, ე., "ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია", გამომცემლობა ნეკერი 2004 წ. გვ. 110.

ბიბლიოგრაფია

1. ბიჭაშვილი, მამუკა, პოლიტიკური თეორია, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006;
2. ჩიტაძე, ნიკა, პოლიტოლოგია, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი 2016;
3. მალანჩუკი, პიტერ. აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გამომცემლობა, 2005;
4. ხვიჩია, ემზარ, ქართველი ერი და მსოფლიო ცივილიზაცია, „ნეკერი“ 2004;
5. ხვიჩია, ემზარ, ნოოლოგია. თვითკმარი არსებობის ლოგიკა, საზოგადოების თვითორგანიზაციისა და ცვლის კანონები, ახალი პარადიგმა, 2020;
6. შარიაშვილი, ელენე, სახელმწიფოს არსი https://www.scribd.com/document/479495985/სახელმწიფოს-არსი [უკანასკნელად გადამოწმდა 17.03.2023];
7. რა არის სახელმწიფო? მთარგმნელი ლელა ჯანგულაშვილი https://nes-g.org/ka/articles-ge/2019-11-26-10-46-10 [უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2023];
8. სახელმწიფო, მისი წარმოშობა და ხელისუფლება https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-18 [უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2023];
9. სამოქალაქო განათლება და დემოკრატია საქართველოში: გამოწვევები და განვითარების გზები, „კურიკულუმის რეფორმა სამოქალაქო განათლებისა და დემოკრატიის პრინციპების ხელშეწყობისათვის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში ისრაელსა და საქართველოში“ https://cure.erasmus-plus.org.il/pluginfile.php/3588/mod_resource/content/1/Curricular%20Reform%20For%20Democratic%20Principles%20and%20Civic%20Education%20in%20Georgia.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2023];
10. Alan Harding. The Origins of the Concept of the State History of Political Thought Vol. 15, No. 1 (Spring 1994);
11. Franz Oppenheimer, “the State”, “the Bobbs-merrill Company” 1914;
12. Montevideo Convention on the Rights and Duties of States, https://www.jus.uio.no/english/services/library/treaties/01/1-02/rights-duties-states.xml [უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2023];
13. Elmer Barnes, Harry, Theories of the Origin of the State in Classical Political Philosophy, the Monist, January, 1924, Vol. 34, No. 1 (January, 1924), Oxford University Press - https://www.jstor.org/stable/pdf/27900975.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 11.03.2023];
14. The Stanford Encyclopedia of Philosophy, https://plato.stanford.edu/index.html [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2023];
15. Knoll, Manuel, Aristotle’s Arguments for his Political Anthropology and the Natural Existence of the Polis, https://books.openedition.org/psorbonne/14286?lang=en [უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2023];
16. The Social Contract, https://www.sparknotes.com/philosophy/rousseau/section2/ [უკანასკნელად გადამოწმდა 10.03.2023].

View publication stats